# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____სექტემბერი_____ 2024 წელი

მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 25 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის ქირის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- სექტემბრის №---------- მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1**. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის (პირადი №60001071757) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №1ა, ავტოგასამართი სადგურის აღმოსავლეთით არსებული სკვერის ნაწილი, ფართი - 419 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.368) წლიური აღნაგობის ქირის გაზრდის თაობაზე.

**მუხლი 2**. უძრავი ქონების წლიური აღნაგობის ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (27.08.2024 წელი, №5005276024) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისათვის განისაზღვრება 25,52 (ოცდახუთი ლარი და 52 თეთრი) ლარის ოდენობით. სარგებლობაში გადაცემული ქონების წლიური სარგებლობის ქირა შეადგენს 10 692,88 (ათი ათას ექვსასოთხმოცდათორმეტი

ლარი 88 თეთრი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

**მუხლი 3.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს 2013 წლის 24 სექტემბრის „ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №38 აღნაგობის ხელშეკრულებაში" ცვლილების განხორციელება.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6**. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

,,მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 25 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის ქირის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

## **გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის /23.09.2013წ./ №1190 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2013 წლის 24 სექტემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე მამუკი ნიქაბაძეს /პირადი №60001071757/ შორის გაფორმდა ,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ხელშეკრულება №38". ხელშეკრულებით, მოქალაქეს, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №1ა, ავტოგასამართი სადგურის აღმოსავლეთით არსებული სკვერის ნაწილი (ფართი - 419 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.368). ხელშეკრულების ,,6.6" ქვეპუნქტის თანახმად, ყოველი 10 (ათი) წლის შემდეგ გადასინჯვას ექვემდებარება აღნაგობის ქირა, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ (27.08.2024 წელი, №5005276024), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე, განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №1ა, ავტოგასამართი სადგურის აღმოსავლეთით არსებული №03.01.24.368 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრა. სარგებლობის ქირა 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისათვის შეადგენს 25,52 (ოცდახუთი ლარი და 52 თეთრი) ლარს.. სარგებლობაში გადაცემული ქონების (ფართობი 419კვ.მ) წლიური სარგებლობის ქირა მთლიანად შეადგენს 10 692,88 (ათი ათას ექვსასოთხმოცდათორმეტი ლარი 88 თეთრი) ლარს. მიზანშეწონილია, 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 25 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის ქირის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი